განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 24.04.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი - 28.06.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204577582
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი 1007
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ვეფხვაძე. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩხეიძე. სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა გარსევანიშვილი. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში (დ. უზნაძის ქ. N68, 0102, თბილისი, საქართველო). უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. სადოქტორო პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა - ხელოვნების ისტორია და თეორია“ - წარმოადგენს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მკვლვარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების მომზადებაზე ორიენტირებულ პროგრამას, რომლის მთავარი პრიორიტეტია ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევა და ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნა კონკრეტული კვლევითი პრობლემატიკით და, ამავდროულად, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიის, კვლევის თანამედროვე მეთოდების სპეციფიკისა და პრინციპების ერთიანი სისტემით. სადოქტორო პროგრამის ძლიერი მხარეა საკვლევი თემატიკის აქტუალობა. პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი: კვლევები განახორციელოს, ძირითადად, შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროში, ქართული მასალის საფუძველზე წამოსწიოს პრობლემური, შეუსწავლელი საკითხები და განიხილოს ის სხვადასხვა კონტექსტში. პროგრმა მიზნად ისახავს მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე (ხელოვნების ისტორიკოსი), რომელიც საფუძვლიანად ფლობს ხელოვნების ისტორიის დარგში დაგროვილ ცოდნასა და კვლევის მეთოდებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 აპრილის N283 ბრძანების (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2018 წლის 24 აპრილს. ვიზიტის წინა დღეს, 23 აპრილს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 13.00 საათზე და 15.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა მომდევნო დღეს, ინტერვიუების პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დასადგენად.
24 აპრილს აღნიშნულ დაწესებულებაში 09.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კაბინეტები და ა.შ). სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დიალოგისა და კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის ბოლოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიურ პერსონალის წარმომადგენლებს ექსპერტთა ჯგუფმა გააცანო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამა მეტწილად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესაბამისი დარგის სამეცნიერო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური კადრების მომზადებაზე. დაწესებულება თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმებისათვის.

პროგრამას აქვს თავისი ექსკლუზიური მიმართულება შუა საუკუნეების ხელოვნებაში: ხელნაწერი წიგნის მხატვრობა და ოქრომჭედლობის ნიმუშების მეცნიერული შესწავლა. საქართველოში მხოლოდ ამ მიმართულებაზე ორიენტირებული პროგრამა არ არსებობს. ამდენად, მას, ამ მხრივ, აქვს გარკვეული ინდივიდუალობა.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას და ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ დღესდღეობით, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევების სადოქტორო პროგრამებს წარმატებით ახორციელებს რამდენიმე უნივერსიტეტი (მათ შორის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი...), ამ მიმართულების ახალი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს სერიოზული კონკურენციის პერსპექტივა ექმნებათ დასაქმების თვალსაზრისით. რამდენადაც, ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია დასაქმების ბაზრის კვლევა და ამ კვლევის შედეგების გათვალისწინება, ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი სამომავლოდ გეგმავს ხალოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას, რომელთა განხორციელებისათვის, მიზანშეწონილად მიაჩნია საკუთარი დოქტორანტებისა და დოქტორების ჩართულობა. ამდენად, უნივერსიტეტი თავად შესთავაზებს დასაქმებას აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთ.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაზე. ამავე დროს, სასურველია პროგრამის მესვეურთა მეტი აქტიურობა მომავალი დოქტორების განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების კუთხით. დაწესებულებას გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით, რომელიც შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

- **რეკომენდაციები**

1. მიზანშეწონილია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტად მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურის კომპეტენციებთან და სწავლის შედეგებთან. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები უფრო

მეტად თავსებადია მაგისტრატურისა და/ან ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურების სწავლის შედეგებთან, მაგალითად სასწავლო კურსები - „ხელოვნების ისტორიის ძირითად ეტაპები და თეორიები“, „არქეოლოგიის საფუძვლები“... ამ სასწავლო კურსების თემატიკა და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის კომპეტენციებთან.

2. დამსაქმებელთა (უნივერსიტეტის გარეთ) მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ურთიერთობების გაძლიერება სახელოვნებო მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ამ მიმართულებით ინსტიტუციური თანმიმდევრული ქმედებების განხორციელება.
3. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა პოტენციურ დოქტორანტთა ენობრივი კომპეტენციის გადამოწმების მიზნით, უცხო ენებში პროგრამით გათვალისწინებული მისაღები გამოცდების ჩასატარებლად ხელშეკრულება გააფორმოს ისეთ დაწესებულებებთან, რომლებშიც ფუნქციონირებს ენების შემსწავლელი ცენტრები.
4. იმ შემთხვევაში, თუკი ოთხი უცხო ენიდან - ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან რუსული - გარდა ინგლისურისა, რომელიმე სხვა ენის ცოდნის მიხედვით მოხდება სტუდენტის მიღება პროგრამაზე, ამ ენის მცოდნე სტუდენტისთვის პრობლემური რომ არ გახდეს დარგში არსებული ახალი კვლევების გაცნობა და დამუშავება, მიზანშეწონილია, აქცენტის გაკეთება პოტენციურ დოქტორანტთა ინგლისური ენის კომპეტენციებზე.
5. რამდენადაც, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, სადოქტორო საფეხურზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია, უფრო მეტად გაიზარდოს უნივერსიტეტის აქტიურობა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარებისთვის, რაც გაზრდის პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის ხარისხსა და დასაქმების პერსპექტივას. მიზანშეწონილია, საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუციებთან გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა და/ან პერსონალის გაცვლა, მობილობა, დაიგეგმება ერთობლივი კვლევების, სამეცნიერო პროექტების განხორციელება.
6. ასევე, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გაზრდა.
7. მიზანშეწონილია, პროგრამის განვითარების მიზნით, გაფორმდეს მემორანდუმები სხვა უსდ-ებთან, სადაც ხორციელდება ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამები, რათა დოქტორანტებს სასწავლო-სამეცნიერო აქტივობის არეალი გაუფართოვდეთ. ეს ხელს შეუწყობს სადოქტორო სემინარებში დოქტორანტთა ჩართულობას და ინტეგრაციას შესაბამისი სამეცნიერო პროფილის დოქტორანტებთან და აკადემიურ წრესთან, რაც სწავლების ეფექტურობისა და ხარისხის ზრდის გარანტიაა.
8. საჭიროა, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე ხელმისაწვდომის გაფართოვება, რათა სტუდენტებს უახლეს ლიტერატურაზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა შეექმნათ. დღესდღეობით, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისთვის, აუცილებელია, დოქტორანტებს, პერსონალს ჰქონდეს სრული წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე.
9. მიზანშეწონილია, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება დარგში არსებული უახლესი (მათ შორის, მეტწილად - უცხოური) ლიტერატურით. აკადემიური საქმიანობისთვის საბიბლიოთეკო რესურსებს აქვს არსებითი მნიშვნელობა.
10. პროგრამის მდგრდობისათვის, უმჯობესია, მის განხორციელებაში ჩართული იყოს შესაბამისი მიმართულების მეტი აკადემიური პერსონალი.

11. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნას აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რამდენადაც, აფილირების თემის განხილვა არის ძალიან მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისთვის.
12. მიზანშეწონილია, ადმინიტრაციული პერსონალის მეტი ინფორმირება, შიდა და გარე შეფასების მექანიზმებისა და მათი მოქმედების ეფექტიანობის შესახებ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. ვინაიდან, პროგრამა, ძირითადად, ორიენტირებულია შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროში კვლევის განხორციელებაზე, მიზანშეწონილია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს არა“ ხელოვნებათმცოდნეობის“ დოქტორი, არამედ „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის“ დოქტორი. ცხადია, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით, შესაძლებელია „ხელოვნებათმცოდნეობის“ დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებაც, თუმცა, აღნიშნული პროგრამის შინაარსს, ანუ, შუასაკუნეების ხელოვნების კვლევებს მეტად მიესადაგება „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის“ დოქტორი.
2. მიზანშეწონილია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება - აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მეტი პერსპექტივისათვის.
3. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სამი ტიპის კურსებს: სავალდებულო, არჩევითი და სპეციალური კურსები, თუმცა, შინაარსის მიხედვით, ეს უკანასკნელი მაინც სავალდებულოა დოქტორანტებისთვის. მეტი სიცხადისთვის, სასურველია, სპეციალური კურსების გადატანა სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა ჯერ არ ხორციელდება. შესაბამისად, ამ ეტაპზე მას ვერ ექნება საუკეთესო პრაქიკა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის მიზანია „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში მოამზადოს, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი, მაღალკვალიფიციური ხელოვნებათმცოდნე-მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელად სამეცნიერო კვლევების ჩატარებას და სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში“. პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის მისიასთან, რომელშიც უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროირიტეტად აღნიშნულია: „შეინარჩუნოს ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები“ და ასევე თავის მისიას ხედავს „თანამედროვე საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთკავშირების განვითარებისთვის ხელშეწყობაში“. პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი: კვლევები განახორციელოს ძირითადად შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროში, ქართული მასალის საფუძველზე წამოწიოს პრობლემური, შეუსწავლელი საკითხები და განხილოს ის სხვადასხვა კონტქსტში. პროგრმა მიზნად ისახავს მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე (ხელოვნების ისტორიკოსი), რომელიც საფუძვლიანად ფლობს ხელოვნების ისტორიის დარგში დაგროვილ ცოდნასა და კვლევის მეთოდებს; რომელსაც ექნება უნარი დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა, ღრმად გაიაზროს, კრიტიკულად მიუდგეს არსებულ იდეებს, გაანალიზოს ახალი მასალა, გამოიტანოს ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნები და ხელოვნების ისტორიის სფეროში შექმნას ახალი ცოდნა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ ლოკალური, ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ თავის წვლილს შეიტანს ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერებაში. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ, ვინაიდან, პროგრამა, ძირითადად, ორიენტირებულია შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროში კვლევის განხორციელებაზე, მიზანშეწონილია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს არა“ ხელოვნებათმცოდნეობის“ დოქტორი, არამედ „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის“ დოქტორი. ცხადია, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით, შესაძლებელია „ხელოვნებათმცოდნეობის“ დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებაც, თუმცა, აღნიშნული პროგრამის შინაარსს, ანუ, შუა საკუნეების ხელოვნების კვლევებს მეტად მიესადაგება „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის“ დოქტორი. სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორანტის მეცნიერული კვლევების უნარ-ჩვევების გაფართოება და დახვეწა; უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მუდმივად გაუმჯობესებადი გზებითა და ინოვაციური მეთოდებით სარგებლობა, რაც დოქტორანტს დაეხმარება პუბლიკაციების დონეზე არსებული ცოდნის უწყვეტ რეჟიმში გააზრება-გადაფასებაში, მიღებული მეცნიერული შედეგების პერსპექტიულ გაცნობიერებაში. სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტს გამოუმუშაოს ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა-გამოყენების უნარი; კერძოდ, ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დანერგვა, მისი განხორციელება-ზედამხედველობის ჩვევები, რომლებიც ორიენტირებული იქნება

დამატებითი ცოდნის მიღებაზე და აისახება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დადგენილ შესაბამის სამეცნიერო პუბლიკაციებში.
სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორანტისათვის ლექცია-პრაქტიკუმების დამოუკიდებლად წარმართვის უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც დაფუძნებული იქნება თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების უახლეს მეთოდებსა და მიდგომებზე.
სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, დოქტორანტმა აითვისოს ახალი, რთული და ურთიერთგანსხვავებული მიდგომების, თეორიების ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი.
როგორც აღვნიშნეთ, პროგრამა გამიზნულია - განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შუა საუკუნეების ეროვნული ისტორიული სახელოვნებო პროცესების კვლევას და მის გააზრებას საერთაშორისო კონტექსტში.

შესაბამისად, პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას და ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ დღესდღეობით, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევების სადოქტორო პროგრამებს წარმატებით ახორციელებს რამდენიმე უნივერსიტეტი (მათ შორის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი...), ამ მიმართულების ახალი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს სერიოზული კონკურენციის პერსპექტივა ექმნებათ დასაქმების თვალსაზრისით. რამდენადაც, ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია დასაქმების ბაზრის კვლევა და ამ კვლევის შედეგების გათვალისწინება, ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი სამომავლოდ გეგმავს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას, რომელთა განხორციელებისათვის, მიზანშაწონილად მიაჩნია საკუთარი დოქტორანტებისა და დოქტორების ჩართულობა. ამდენად, უნივერსიტეტი თავად შესთავაზებს დასაქმებას აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია, http://www.king-tamar.net
- სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)"
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან, პროგრამა, ძირითადად, ორიენტირებულია შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროში კვლევის განხორციელებაზე, მიზანშეწონილია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს არა" ხელოვნებათმცოდნეობის" დოქტორი, არამედ „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" დოქტორი. ცხადია, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით, შესაძლებელია „ხელოვნებათმცოდნეობის" დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებაც, თუმცა, აღნიშნული პროგრამის შინაარსს,

ანუ, შუასაკუნეების ხელოვნების კვლევებს მეტად მიესადაგება „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის“ დოქტორი.

- მიზანშეწონილია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება - აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მეტი პერსპექტივისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურით - დოქტორანტურით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო კურსების შინაარსით, მოცულობითა და სწავლების მეთოდებით.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელთაგან 60 გათვლილია სასწავლო კომპონენტზე, ხოლო 120 კრედიტი - სამეცნიეროზე.

პროგრამა ითვალსწინებს სასწავლო და სამეცნიერო კრედიტების შემდეგი პრინციპით გადანაწილებას: პირველი სემესტრები დატვირთულია სასწავლო კომპონენტის საგნებით, ხოლო ყოველ მომდევნო სემესტრში მატულობს სამეცნიერო მუშაობის წილი. სასწავლო კომპონენტის საგნები სრულდება მე-3 სემესტრში და დარჩენილი 3 სემესტრი სრულიად ეთმობა სამეცნიერო მუშაობას.

პროგრამის 120 კრედიტი დოქტორანტს, დისერტაციის დაცვის შემდგომ ეთვლება ათვისებულად.

დოქტორანტი ვალდებულია სამეცნიერო ხელმძღვანელთან სისტემატურად იმუშაოს და ყოველი სემესტრის ბოლოს მოკლე სამეცნიერო ანგარიში წერილობითი ფორმით ჩააბაროს შესაბამისი ფაკულტეტი დეკნატს, ხოლო წელიწადში ერთხელ მიმართულების სხომაზე წარადგინოს კოლოკვიუმი.

სადისეტაციო ნაშრომის თემის და სათაურის დამტკიცება ხდება მე-2 სემესტრის ბოლოს, მას შემე,გ რაც დოქტორანტის კვლევის პროექტი წარდგება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და ამ საბჭოს გადაწყვეტილებით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი(60 კრედიტი) მოიცავს:

ა) პროგრამის სასწავლო (დარგობრივი) სავალდებულო (40 კრედიტი) კურსებია: მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია 1 - 5კრედიტი, სწავლების და შეფასების სტრატეგიები - 5კრედიტი, პროფესორის ასისტენტირება -5 კრედიტი, საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება - 5კრედიტი, ქართული არქიტექტურა შუა საუკუნეებში - ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაწილი - 5კრედიტი, ბიზანტიური და ქართული მხატვრობის შედარებითი ანალიზი - 5კრედიტი, ქართველი და კავკასიის ხალხთა ხელოვნების კომპლექსური ანალიზი - 5კრედიტი, ხელოვნების ისტორიის შესწავლის მეთოდები - 5კრედიტი.

ბ) არჩევით კურსებია (20კრედიტი): ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თეორიები, ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობა, შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, წინაქრისტიანული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, განწყობის ფსიქოლოგია, ურთიერთობის ფსიქოლოგია, ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნიკური ისტორია, არქეოლოგიის საფუძვლები, კულტურის ანთროპოლოგია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები.

აღნიშნული საგნები უზრუნველყოფენ და განაპირობებენ დოქტორანტის ცოდნის დონის ამაღლებას, მისი შემოქმედებითად აზროვნების უნარის განვითარებას და პრაქტიკული სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისათვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და რეალიზაციას.

სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულია სემინარების მომზადება. აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას, ამასთან, აღნიშნული შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსებს შორის არსებული ლოგიკური კავშირით და პრაქტიკული უნარების გამომუშავებით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიზანშეწონილია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტად მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურის კომპეტენციებთან და სწავლის შედეგებთან. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები უფრო მეტად თავსებადია მაგისტრატურისა და/ან ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურების სწავლის შედეგებთან, მაგალითად სასწავლო კურსები - „ხელოვნების ისტორიის ძირითად ეტაპები და თეორიები“, „არქეოლოგიის საფუძვლები“... ამ სასწავლო კურსების თემატიკა და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის კომპეტენციებთან.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი განკუთვნილია სამეცნიერო–საკვლევი თემატიკის დამუშავების მიზნით პრაქტიკული კვლევების განხორციელებისათვის და კვლევის შედეგებზე სადოქტორო ნაშრომის გაფორმება- დაცვისათვის. სადოქტორო ნაშრომის შესრულებაზე მუშაობა იწყება პირველი სემესტრიდან და მთავრდება მეექვსე სემესტრში. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ბიბლიოგრაფიის შედგენას ქართულ აკადემიურ სივრცეში თანამედროვე აქტუალური და ინოვაციური კვლევების მოძიებას და გაცნობას, ასევე, დოქტორანტის სამ კოლოკვიუმს, რომელიც კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომის შემადგენელ ნაწილს, ხოლო მეექვსე სემესტრში ხდება შესრულებული სამუშაოს გაფორმება სადოქტორო ნაშრომის სახით და მისი საჯარო დაცვა წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით.

სწავლის შედეგების მისაღწევად, სასწავლო კურსების შინაარსის მიხედვით, გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდები: ანალიზი, სინთეზის, ინდუქცია,

დედუქცია, ჰიპოთეზა და სამეცნიერო მოდელირება, შედარებით-ისტორიული ანალიზის მეთოდი, დისკუსია, დებატები, ხოლო სწავლის შედეგების შეფასება ხდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, გამჭირვალედ და შეფასების შედეგები იძლევა ინფორმაციას დოქტორანტთა მომზადების დონეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია, http://www.king-tamar.net • სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)" • სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსების სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტად მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურის კომპეტენციებთან და სწავლის შედეგებთან. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები უფრო მეტად თავსებადია მაგისტრატურისა და/ან ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურების სწავლის შედეგებთან, მაგალითად სასწავლო კურსები - „ხელოვნების ისტორიის ძირითად ეტაპები და თეორიები", „არქეოლოგიის საფუძვლები"... ამ სასწავლო კურსების თემატიკა და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის კომპეტენციებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სამი ტიპის კურსებს: სავალდებულო, არჩევითი და სპეციალური კურსები, თუმცა, შინაარსის მიხედვით, ეს უკანასკნელი მაინც სავალდებულოა დოქტორანტებისთვის. მეტი სიცხადისთვის, სასურველია, სპეციალური კურსების გადატანა სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული კომპონენტების/კურსების სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის აღმწერით დადგენილ სტანდარტებთან.
პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისების შემდგომ კურსდამთავრებულს გააჩნია სწავლების მესამე საფეხურზე მისაღწევი დონით განსაზღვრული კომპეტენციები.
სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად მკვლევარი დაუფლებულია ხელოვნებათმცოდნეობის კვლევების თანამედროვე მეცნიერულ მაღალ დონეს და კვლევის მეთოდოლოგიას.
დოქტორანტს უნარი შესწევს ხელოვნების ნიმუშისა და სამუზეუმო კოლექციის მრავალმხრივი და მაღალკვალიფიციური ექსპერტიზა, შეუძლია მუდმივი და დროებითი გამოფენების პროექტების შემუშავება,განხორციელება და ხელმძღვანელობა.
ხელოვნების სფეროში სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის პუბლიკაციების მომზადება.
ხელოვნებათმცოდნეობის მეთოდოლოგიასთან ერთად, დოქტორანტი შეძენილ ცოდნას გამოიყენებს სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვისათვის შესაბამისი მეთოდიკის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია, http://www.king-tamar.net
- სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)"
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტთა საფუძვლიან მომზადებას, პროგრამის შესაბამის შედეგებზე გასვლას და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხის მოპოვებას, პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაცვით და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გავლით, რაც, საბოლოო ჯამში, იძლევა ხელოვნებათმცოდნეობის დარგის მეცნიერს, უმაღლესი სკოლის პედაგოგს, რომელსაც შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სპეციალიზებულ კოლეჯებში, მუზეუმებში, საგამოფენო, საარქივო, მედია-სივრცეში. ექსპერტის სტატუსით დასაქმდეს სახელმწიფო და არასამთავრობო, კერძო სტრუქტურებში, მას შეუძლია იმუშაოს თავისუფალი მკვლევარის სტატუსით. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამომდინარე იქედან, რომ დღესდღეობით, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევების სადოქტორო პროგრამებს წარმატებით ახორციელებს რამდენიმე უნივერსიტეტი (მათ შორის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი...), ამ მიმართულების ახალი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს სერიოზული კონკურენციის პერსპექტივა ექმნებათ დასაქმების თვალსაზრისით. რამდენადაც, ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია დასაქმების ბაზრის კვლევა და ამ კვლევის შედეგების გათვალისწინება, ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი სამომავლოდ გეგმავს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას, რომელთა განხორციელებისათვის, მიზანშაწონილად მიაჩნია საკუთარი დოქტორანტებისა და დოქტორების ჩართულობა. ამდენად, უნივერსიტეტი თავად შესთავაზებს დასაქმებას აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია, http://www.king-tamar.net
- სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)"
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- როგორც უკვე აღინიშნა, მიზანშეწონილია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მეტი პერსპექტივისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და მის განვითარების პროცესში ჩათულია დაინტესებული მხარეები - აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი და

დამსაქმებლები (პროგრამა ახალია, სტუდენტები და კურსდამთავრებულები მას არ გააჩნია). ერთი მხრივ, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავისი მოვაწეობით უკავშირდება ისეთ სამეცნიერო-კვლევით/სამუზეუმო დაწესებულებებს, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ პოტენციურ დამსაქმებლებს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი). მეორე მხრივ, ერთ-ერთ ძირითად დამსაქმებელად მოაზრებულია თვით საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც გეგმავს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების პროგრამების შემუშავებას. გარდა ამისა, ამჟამად ფორმირების პროცესშია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ხელოვნების ისტორია იქნება. შესაბამისად, დოქტორანტებს ექნებათ მომვალში დასაქმების რეალური შანსი. რეგიონებში, პროფილურ დაწესებულებებში (მუზეუმები, უმაღლესი სასწავლებელი) ჩატარებულმა გამოკითხვებმა, აჩვენა დოქტორის ხარისხისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დარგის სპეციალისტთა მოთხოვნილება, თუმცა, ამ გამოკითხვებით ვერ დგინდება, ზოგადად საჭიროა ხელოვნებათმცოდნეობის მეტი დოქტორების არსებობა, თუ კონკრეტულად ისეთი კადრების, რომელთაც შეეძლებათ ხელნაწერი წიგნის მხატვრობა და ოქრომჭედლობის ნიმუშების მეცნიერული შესწავლა. პროგრამაში მითითებულია პროგრამის აქტუალობა და მნიშვნელობა, ხელოვნებათმცოდნეობის გააზრება მსოფლიო პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ,კულტურულ კონტექსტში. ამასთან, პროგრამას აქვს თავისი ექსკლუზიური მიმართულება შუა საუკუნეების ხელოვნებაში: ხელნაწერი წიგნის მხატვრობა და ოქრომჭედლობის ნიმუშების მეცნიერული შესწავლა. საქართველოში მხოლოდ ამ მიმართულებაზე ორიენტირებული პროგრამა არ არსებობს. ამდენად, მას აქვს ამ მხრივ გარკვეული ინდივიდუალობა. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ისეთი დაინტერესებული ორგანიზაციების საჭიროებები, როგორიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულება, კერძოდ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი და შესაბამისი პროფილის სხვა სასწავლო უნივერსიტეტები, სამეცნიერო და სამუზეუმო დაწესებულებები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ახალგაზრდა კადრების მომზადებით, სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის. თუმცა, დამსაქმებელთა (უნივერსიტეტის გარეთ) მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მიზანშწონილია, ურთიერთობების გაძლიერება და ამ მიმართულებით ინსტიტუციური თანმიმდევრული ქმედებების განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია, http://www.king-tamar.net • სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)" • ინტერვიუს შედეგები • მემორანდუმები, ხელშეკრულებები შესაბამის დაწესებულებებთან
რეკომენდაციები: • დამსაქმებელთა (უნივერსიტეტის გარეთ) მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მიზანშწონილია, ურთიერთობების გაძლიერება სახელოვნებო მიმართულების

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ამ მიმართულებით ინსტიტუციური თანმიმდევრული ქმედებების განხორციელება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორიის) სადოქტორო პროგამაზე დაშვების წინაპირობაა: ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, არქიტექტურაში, რესტავრაციაში. ბ) გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური,გერმანული,ფრანგული,რუსული -B2 დონე); გ) გასაუბრება სპეციალობაში (ხელოვნების ისტორია), რომლისთვისაც აუცილებელია აპლიკანტმა წარმოადგინოს თავისი სამეცნიერო ინტერესების შესაბამის სამეცნიერო პროექტის რეზიუმე. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რეგულაციის მიხედვით და შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების, სწავლისა და დოქტორისაკადემიურიხარისხისმინიჭებისწესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობების მეორე მოთხოვნის: „გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული -B2 დონე). უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს, შესაბამისი უცხო ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელ მოწმობას (არანაკლებ B2 დონე) ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam)“ უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს სათანადო რესურსი არ გააჩნია. მართალია, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამები ითვალისწინებს ინგლისური ენის სწავლებას, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ევროპული ენები ამ პროგრამებზე არ ისწავლება და, ამდენად, შესაბამისი პედაგოგიური რესურსი უნივერსიტეტში არ არის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, უნივერსიტეტმა პოტენციურ დოქტორანტთა ენობრივი კომპეტენციის გადამოწმების მიზნით, უცხო ენებში პროგრამით გათვალისწინებული მისაღები გამოცდების ჩასატარებლად ხელშეკრულება გააფორმოს ისეთ დაწესებულებებთან, რომლებშიც ფუნქციონირებს ენების შემსწავლელი ცენტრები. ამასთან, ბუნდოვანია, ოთხი უცხო ენიდან თუ ნებისმიერი ენის ჩაბარების მიხედვით მოხდება სტუდენტთა მიღება, შემდგომ პროგრამას რამდენად დაძლევს ყველა?!. მაგ., ფრანგული, გერმანული ან რუსული ენის ჩაბარების შემთხვევაში, ამ ენის მცოდნე სტუდენტი რამდენად მოახერხებს ახალი კვლევების წაკითხვას ამ დარგში?!. შესაბამისად, მიზანშეწონილია აქცენტის გაკეთება პოტენციურ დოქტორანტთა ინგლისური ენის კომპეტენციებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა(ხელოვნების ისტორია)"
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება, მუხ:2,3,4,
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - king-tamar.net
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა პოტენციურ დოქტორანტთა ენობრივი კომპეტენციის გადამოწმების მიზნით, უცხო ენებში პროგრამით გათვალისწინებული მისაღები გამოცდების ჩასატარებლად, ხელშეკრულება გააფორმოს ისეთ დაწესებულებებთან, რომლებშიც ფუნქციონირებს ენების შემსწავლელი ცენტრები.
- იმ შემთხვევაში, თუკი ოთხი უცხო ენიდან - ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან რუსული - გარდა ინგლისურისა, რომელიმე სხვა ენის ცოდნის მიხედვით მოხდება სტუდენტის მიღება პროგრამაზე, ამ ენის მცოდნე სტუდენტისთვის პრობლემური რომ არ გახდეს დარგში არსებული ახალი კვლევების გაცნობა და დამუშავება, მიზანშეწონილია, აქცენტის გაკეთება პოტენციურ დოქტორანტთა ინგლისური ენის კომპეტენციებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში გამოყენებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები შერჩეულია პროგრამის მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევაზე. სადოქტორო პროგრამაში ვრცლად არის აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული მეთოდები. კერძოდ:
სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც თეორიულ მეცადინეობებზე, ისე ჯგუფური მუშაობის დროს და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით (რეკომენდებული ძირითადი სამეცნიერო პუბლიკაციების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე). სწავლების პროცესში განსა¬კუთრებული ყურადღება ექცევა თეორიულ-მიმოხილვითი ლექციების, დისკუსიების ჩატარებას, სასემინარო მოხსენების მომზადება-პრეზენტაციას, და ა.შ.

თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა - სასწავლო პროგრამით გათვალისწი¬ნებულ ძირითად თემათა თეორიულ ჭრილში განხილვა და დოქტორანტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთასა და მათ ანალიზზე.

ჯგუფური მუშაობების დანიშნულებაა - დოქტორანტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება. შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხების ანალიზი.

დისკუსიების დანიშნულებაა თეორიულ ლექციებზე შეძენილი ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განმტკიცება, ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება, რაც დოქტორანტს მნიშვნელოვნად გაუადვილებს საკუთარი ხედვის გამოკვეთასა და რიგი საკითხებისადმი პროფესიული მიდგომის შემუშავებას.

სემინარული მეცადინეობა ითვალისწინებს პრობლემურ სემინარზე განსახილველი საკითხის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში შეირჩევა პრობლემატური საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე გაშუქებული კონცეფციებისა და დებულებების სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემატიკას ან/და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით. სადოქტორო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტზე სემინარი შეიძლება შეიქმნას სადოქტორო პროგრამების გაერთიანების შედეგად.

კოლოკვიუმების ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის ერთგვარი მონიტორინგი. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელს (სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს) წარუდგენს კოლოკვიუმზე გამოსატანი ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს. შესაძლებელია ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეგზავნოს შესაბამისი

აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს ან დარგის აღიარებულ სპეციალისტებს. პრაქტიკა. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის (პროფესორის ასისტენტობა) გავლა, სამეცნიერო ხელმძღვანელის და/ან დარგის აღიარებული სპეციალისტის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნულის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის, როგორც მომავალი პედაგოგის ჩამოყალიბებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა(ხელოვნების ისტორია)" • სილაბუსები • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღებისთვის სასწავლო გეგმაში თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული შესასწავლი კურსები, რომლებიც სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას ემსახურებიან. კურსების შინაარსი ვითარდება თანამიმდევრულად, პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კომპონენტზე დაშვების წესი განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსებით. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტს, რომელთაგან 60 გათვლილია სასწავლო ნაწილზე, ხოლო 120 კრედიტი - სამეცნიეროზე. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის 1 კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს; პროგრამის ბადე ითვალსწინებს სასწავლო და სამეცნიერო კრედიტების გაზრებულ გადანაწილებას: პირველი სემესტრები დატვირთულია სასწავლო საათებით და ხოლო ყოველ მომდევნო სემესტრში მატულობს სამეცნიერო მუშაობის წილი. სასწავლო კრედიტები სრულდება მე-3 სემესტრში და დარჩენილი 3 სემესტრი სრულიად ეთმობა სამეცნიერო მუშაობას. წინამდებარე პროგრამის 120 კრედიტი დოქტორანტს, დისერტაციის დაცვის შემდგომ ეთვლება ათვისებულად და მთლაინობაში ენიჭება. სასწავლო კომპონენტი შეიცავს: ა) პროგრამის სასწავლო (დარგობრივი) სავალდებულო (40 კრედიტი) ბ) არჩევითი სასწავლო კურსები -20 კრედიტი დოქტორანტი ვალდებულია სამეცნიერო ხელმძღვანელთან სისტემატურად იმუშაოს, ხოლო ყოველი სემესტრის ბოლოს მოკლე სამეცნიერო ანგარიში წერილობითი ფორმით ჩააბაროს დეკნატს, ხოლო წელიწადში ერთხელ მიმართულების სხომაზე წარდგეს (კოლოქვიუმები). ყველა სემესტრის ანგარიში, დოქტორანტისა და ხელმძღვანელის ხელმოწერილი, ინახება მის პირად საქმეში. დისეტაციის თემის და სათაურის დასამტკიცებლად წარდგენა ხდება მე-2 სემესტრის ბოლოს, მას შემეგ რაც დოქტორანტის კვლევითი პროექტი წარდგება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და ამ საბჭოს გადაწყვეტილებით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა(ხელოვნების ისტორია)" • სილაბუსები • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებებით და მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტებით (შინაგანაწესი, დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება). დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობების მიხედვით: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში. პროფესორის ასისტირების და საჩვენებელი ლექციის მომზადება–ჩატარების შეფასება ხდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად, სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება

წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.
სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი და საბოლოო შეფასება ასევე ხდება საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.
სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობის (მაგ. პუბლიკაციის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე. სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ნორმატიული აქტებით.
ნიმუშად მოვიყვანთ სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების მოდელს:
1. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება საჯარო დაცვის დასრულებისთანავე, სადისერტაციო საბჭოს დახურულ სხდომაზე. კომისიის თითოეული წევრი აფასებს სადისერტაციო ნაშრომს ქულობრივად, წინამდებარე წესში მოცემული კრიტერიუმების თანახმად. დისერტაციის შეფასების საბოლოო ქულა დგინდება კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკულით.
2. სადისერტაციო კომისიის მუშაობა და საბოლოო შეფასება აისახება დაცვის ოქმში.
3. საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:
• 91-100 - ფრიადი – summa cum laude;
• 81-90 - ძალიან კარგი – magna cum laude;
• 71-80 -კარგი – cum laude;
• 61-70 -საშუალო – bene;
• 51- 60 - დამაკმაყოფილებელი – rite;
• 41- 50 - არადამაკმაყოფილებელი – insufficienter;
• 0-40 - სრულიად არადამაკმაყოფილებელი – sum omni canone.
4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.
5. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება „არადამაკმაყოფილებელი“ ან „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“.
6. დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხი.
7. სადისერტაციო ნაშრომის ქულობრივი შეფასება ასახული უნდა იყოს უწყისში, შემდეგი წესით:
- ტექნიკური მხარე (20 ქულა):
1. სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა მოწმდება (5 ქულა):
• ციტირების წესის დაცვა;
• ბიბლიოგარაფიის წარმოდგენის ტექნიკური გამართულობა;
• დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდების გამართულობა (დასახელების, ნუმერაციის და სხვა აუცილებელი მონაცემების არსებობა).
5 ქულა
ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის სრული დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა სრულყოფილია, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება სრულყოფილადაა გამართული.
4 ქულა
ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის ნაწილობრივი დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება ნაწილობრივაა გამართული.

3 ქულა
ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის არასათანადოდ დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა არ არის სათანადო დონეზე, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება არაა სათანადო დონეზე გამართული.
2 ქულა
ნაშრომში ციტირების წესი გამოყენებულია არასწორად, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება ნაკლოვანია და ფრაგმენტული.
0-1 ქულა
ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის უგულველყოფით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება არ შეესაბამება მოთხოვნებს.
2. სტრუქტურის გამართულობა მოწმდება (10 ქულა):
• ნაშრომის მკაფიო და თვალსაჩინო სტრუქტურირება, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს;
• ნაშრომის სტუქტურის სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახვა.
9-10 ქულა
ნაშრომის სტრუქტურირება მკაფიო და თვალსაჩინოა , ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს; ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში მკაფიოდაა ასახული.
7-8 ქულა
ნაშრომის სტრუქტურირება ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს თუმცა ცალკეული საკითხები მოითხოვს დაზუსტებას. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში კარგადაა ასახული მ თუმცა მოითხოვს დაზუსტებას.
5-6 ქულა
ნაშრომის სტრუქტურირება ჩამოყალიბებულია, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები.
3-4 ქულა
ნაშრომის სტრუქტურირება ზედაპირულად და არააგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებულია, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად ვერ გამოკვეთს. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად.
0-2 ქულა
ნაშრომის სტრუქტურირება არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ვერ გამოკვეთს. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია არაკვალიფიციურად.

3. ენობრივი და სტილისტური გამართულობა მოწმდება (5 ქულა):
• ენობრივი გამართულობა;
• სამეცნიერო ენის ერთიანი სტილის დაცვა;
• ტერმინოლოგიის სიზუსტე, ლოგიკური და ცნებითი აპარატის ადეკვატურობა და დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობა.
5 ქულა
ენობრივად გამართულია, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ზუსტადაა დაცული, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია, ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან შესაბამისი და ადეკვატურია.

4 ქულა
ენობრივად გამართულია, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი დაცულია, თუმცა არის მცირე ხარვეზები, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია, ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან შესაბამისი და ადეკვატურია.
3 ქულა
ენობრივად სრულყოფილად არაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ნაწილობრივ დაცულია, თუმცა არის რამდენიმე უზუსტობა, ტერმინოლოგიის სიზუსტე ნაწილობრივაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან ნაწილობრივაა შესაბამისი.
2 ქულა
ენობრივად ნაწილობრივაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ნაწილობრივაა დაცული, თუმცა არის მრავალი უზუსტობა, ტერმინოლოგიის სიზუსტე არაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან ნაწილობრივაა შესაბამისი.
0-1 ქულა
ენობრივად ნაწილობრივაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი არა დაცული, არის მრავალი შეცდომა, ტერმინოლოგიის სიზუსტე არაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან არაა შესაბამისი.
- შინაარსობრივი მხარე (60 ქულა):
1. პრობლემის აქტუალურობა მოწმდება (5 ქულა):
• ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა;
• დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა.
5 ქულა
ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.
4 ქულა
ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული მაგრამ აკლია სიცხადე.
3 ქულა
ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები.
2 ქულა
ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0-1 ქულა
ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა დასმულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.
2. კვლევის სიახლე მოწმდება (10 ქულა):
• საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე;
• ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში;
• კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა.
9-10 ქულა

საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.

7-8 ქულა

საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული მაგრამ აკლია სიცხადე.

5-6 ქულა

საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები.

3-4 ქულა

საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა ფორმულირებულია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.

0-2 ქულა

საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა დასმულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

3. კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე მოწმდება (10 ქულა):

• შერჩეული სამეცნიერო მეთოდის/მეთოდების შესაბამისობა საკვლევ თემასთან;

• კვლევის მეთოდის/მეთოდების გააზრებული გამოყენება.

9-10 ქულა

შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები სრულად შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა გამოყენებული.

7-8 ქულა

შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები თითქმის სრულად შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები მიზნობრივად და კომპლექსურადაა გამოყენებული.

5-6 ქულა

შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის ცალკეული მეთოდები მიზნობრივადაა გამოყენებული.

3-4 ქულა

შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.

0-2 ქულა

შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები არ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები გამოყენებულია არაკვალიფიციურად.

4. განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა მოწმდება (15 ქულა):

• მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება;

• ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი;

• დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი;

• ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი;

• ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი;

• დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი.

13-15 ქულა

მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა წარმოდგენილი. 10-12 ქულა მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი მიზნობრივადაა წარმოდგენილი. 7-9 ქულა მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის დაბალი ხარისხი ნაწილობრივ მიზნობრივადაა წარმოდგენილი. 4-6 ქულა მოძიებული მასალის ნაწილობრივი შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და კვლევის ხარისხი, არასაკმარისი დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის დაბალი ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას. 0-3 ქულა მოძიებული მასალის ნაწილობრივ შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უუნარობა, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის არ არსებობა, დასმული საკითხისა და არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას. 5. კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა მოწმდება (15 ქულა): • საკმარისია თუ არა ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის; • საკმარისად ასახულია თუ არა კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში; • გამყარებულია თუ არა ავტორის პოზიცია ნათელი და სარწმუნო მონაცემებით. 13-15 ქულა ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში საკმარისადაა ასახული, ნათელი და სარწმუნო მონაცემებით ავტორის პოზიცია გამყარებულია. 10-12 ქულა ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში საკმარისადაა ასახული, ნათელი და სარწმუნო მონაცემებით ავტორის პოზიციას აკლია სიცხადე/დასაბუთება. 7-9 ქულა ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში ნაწილობრივადაა ასახული, ავტორის პოზიცია არ არის დასაბუთებული. 4-6 ქულა

ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის ნაწილობრივაა საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში ნაწილობრივადაა ასახული, ავტორის პოზიცია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.

0-3 ქულა

ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის ნაწილობრივაა საკმარისი, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში არაა ასახული, ავტორის პოზიცია ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

6. გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე მოწმდება (5 ქულა):

• გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან;

• გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება;

• ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების ხარისხი;

• ნაშრომის თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენება.

5 ქულა

გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე ნაშრომის თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სიღრმისეულად გაანალიზებული და შეფასებული.

4 ქულა

გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არის ჩამოყალიბებული, გაანალიზებული და შეფასებული.

3 ქულა

გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის გაანალიზებული და შეფასებული.

2 ქულა

გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ზედაპირულად არის ჩამოყალიბებული, არ არის გაანალიზებული და შეფასებული.

0-1 ქულა

გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული ან საერთოდ არ არის წარმოჩენილი.

- დაცვა-პრეზენტაცია (20 ქულა):

1. დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა მოწმდება (10 ქულა):

• დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის წარდგენის ხარისხი: ნაშრომის მიზნების, შერჩეული მეთოდის, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულად წარმოჩენა;

• წარმოდგენილი პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა.

9-10 ქულა

დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულად, წარმოდგენილი პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი.

7-8 ქულა

დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულად, წარმოდგენილი პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა ამ თემის ირგვლივ ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი თუმცა აკლია დამაჯერებლობა.

5-6 ქულა

დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებ ლოგიკურად,ნაკლებ არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი. პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა ამ თემის ირგვლივ ნაწილობრივი ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი თუმცა მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია.

3-4 ქულა

დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებ ლოგიკურად,ნაკლებ არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი. პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა ამ თემის ირგვლივ მწირი ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი. მსჯელობა ნაკლოვანი და ფრაგმენტულია, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს.

0-2 ქულა

დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ალოგიკურად,არაარგუმენტირებულადაა წარმოდგენილი. მან ვერ შეძლო თემის წარმოდგენა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის.

2. კითხვებზე პასუხის გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა მოწმდება (10 ქულა):

• რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა.

• აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა.

9-10 ქულა

რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა წარმოჩენილია საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა.

7-8 ქულა

რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა წარმოჩენილია საკითხის კარგად ცოდნის დემონსტრირებით. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და

ეთიკური ნორმების დაცვა. მსჯელობა კარგ დონეზეა თუმცა მოკლებულია დამაჯერებლობას.
5-6 ქულა
რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა წარმოჩენილია საკითხის საშუალოდ ცოდნის დემონსტრირებით. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა. მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია.
3-4 ქულა
სახეზეა რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობის, არგუმენტირებულობის, ლაკონურობის და ადეკვატურობის დეფიციტი. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა. მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული.
0-2 ქულა
სახეზეა რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ალოგიკურობა, არა არგუმენტირებულობა, არალაკონურობა და არაადეკვატურობა. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა. ვერ მსჯელობს და ვერ ახერხებს კითხვებზე პასუხის გაცემას.
8. ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა "ხელოვნებათმცოდნეობა(ხელოვნების ისტორია)"
- სილაბუსები
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილია ცოდნის შეფასების მეთოდები. ინფორმაცია შეფასების მეთოდებისა და მიღებული შეფასებების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა დოქტორანტისათვის. დოქტორანტს უფლება აქვს, მიიღოს სათანადო კონსულტაციები ლექტორებისაგან და თვითონაც განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა სწავლის პროცესში. შესაბამისად, სწავლის შედეგის დასადგენად შეფასდება მისი აქტივობა, ჯგუფური მუშაობის დროს და სხვა აქტივობებიც სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული კრიტერიუმებით. ამასთან, დოქტორანტთა შეფასების შემდეგ ინფორმირებულია მის მიღწეულ შედეგზე პირადად ლექტორისაგან და ასევე ინფორმაციის მიღება ხდება, ელექტრონულადაც პირადი კოდით. ლექტორთან კონსულტაციის შემდეგ დოქტორანტი კიდევ უფრო აცნობიერებს ნაკლოვან მხარეებს და დასახავს შემდგომში შედეგის გაუმჯობესების გზებს. დოქტორანტებს უფლება აქვს გააპროტესტოს შეფასების შედეგი და მოითხოვოს ახსნა–განმარტება.
შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. შეფასების სისტემა საგანმა-ნათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დოქტორანტებს და დაინტერესებულ პირებს, პერმანენტულად აწვდის საჭირო ინფორმაციას. მოქმედებს სააპელაციო სისტემა, რომელიც გამჭვირვალეს ხდის შეფასების პროცესს და დოქტორანტს საშუალებას აძლევს დარწმუნდეს მის ობიექტურობაში. ასევე დეკანატის მიერ თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ამ მიმართულებით, დოქტორანტთა კონსულტირებისათვის კონკრეტული დღეების გრაფიკი. ფაკულტეტის ადმინისტრაცია მსჯელობს და დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალს აწვდის ინფორმაციას შეფასებების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი king-tamar.net
- სადოქტორო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნული პროგრამა ახალია და მას ჯერ სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, ამ პროგრამის სტუდენტებს ექნებთა საშუალება მიიღონ საჭირო ინფორმაცია და გაიარონ კონსულტაციები როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთან, ისე აკადემიურ პერსონალთან. უნივერსიტეტის მოქმედ პროგრამებზე სტუდენტებს ინფორმაცია ეგზავნებათ მეილის საშუალებით, იგივე პრინციპი გავრცელდება ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სტუდენტებისთვის. ამასთან, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოქტორანტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში არსებობს დახმარების სერვისები დოქტორანტებისათვის, როგორიცაა იურიდიული და სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება. დოქტორანტებისათვის შესაძლებელი იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების გავლა ინტენსიურ რეჟიმში, განმეორებით გამოცდაზე გასვლა. სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს უზრუნველყოფს კონსულტაციებითა და დახმარებით სასწავლო პროცესის შესაბამისი დაგეგმვისათვის, კერძოდ, დოქტორანტი შეავსებს ინდივიდუალური მუშაობის გეგმას, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: • განმარტებები სადისერტაციო თემის შერჩევის შესახებ • სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი • სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი • პირველი წლის სამუშაო გეგმა • მეორე წლის სამუშაო გეგმა • მესამე წლის სამუშაო გეგმა • დოქტორანტის სწავლების შედეგები აღნიშნული გეგმა სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად შეივსება და წარმოადგენს დოქტორანტის შრომის შესაფასებელ დოკუმენტს. ინდივიდუალური გეგმა დამტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ვებ.გვერდი king-tamar.net • სადოქტორო პროგრამა და სასწავლო საგნების სილაბუსები • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გათვალისწინებულია დოქტორანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რომელიც აისახება აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. კონსულტირების საათები ასახულია აგრეთვე სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. აკადემიურ პერსონალი საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს დოქტორანტთან ინდივიდუალურად მუშაობას განსაზღვრულ დღეებში, დოქტორანტებთან შეთანხმებით, ასევე კომუნიკაცია შესაძლებელია ელექტრონული ფოსტითაც. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დოქტორანტებთან ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ ფორმებს: –კონსულტაციები ცალკეული საგნების შესწავლის დროს; –კონსულტაციები სამეცნიერო სტატიებზე მუშაობის, სემინარებისთვის თემების მომზადების, კოლოკვიუმებზე გამოსვლების და სადოქტორო ნაშრომის შესრულების დროს. მართალია, ამჟამად აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში არ არის მითითებული სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის კონკრეტული დრო, თუმცა, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში, სტუდენტთან ინდივიდუალური სამუშაო საათები დაკონკრეტებით გაიწერება პროგრამის ამოქმედებისთანავე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი king-tamar.net
- სადოქტორო პროგრამა და სასწავლო საგნების სილაბუსები
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში, ჩაერთონ სხვადასხვა კვლევით პროექტებსა და კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი გამოთქვამს სურვილს და მზაობას სტუდენტთა წახალისებისთვის ამ მიმართულებით. დოქტორანტებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში, მათ შორის - ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვლევით საქმიანობაში, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შედეგები წარადგინონ უნივერსიტეტის, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე და წარმატებულმა დოქტორანტებმა მიიღონ წახალისებები. დოქტორანტებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და უნივერსიტეტის ეგიდით განხორციელებულ კვლევით პროექტებში.
სამომავლოდ, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს წარმატებულ სტუდენტებს შესაბამისი მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად - დაუნიშნავს მათ სტიპენდიებს, დაუწესებს შეღავათებს სწავლის გადასახადში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები სასწავლო და კვლევით დაწესებულებებთან. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტი კავშირების დამყარება. უნივერსიტეტი მუშაობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, არსებობს მეგობრული კავშირები თურქეთის, რუმინეთის, პოლონეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. დაგეგმილია მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა უცხოურ უნვიერსიტეტებთან.
რამდენადაც, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, სადოქტორო საფეხურზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია, უფრო მეტად გაიზარდოს უნივერსიტეტის აქტიურობა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარებისთვის, რაც გაზრდის პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის ხარისხსა და დასაქმების პერსპექტივას. მიზანშეწონილია, საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუციებთან გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა და/ან პერსონალის გაცვლა, მობილობა, დაიგეგმება ერთობლივი კვლევების, სამეცნიერო პროექტების განხორციელება. ასევე, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გაზრდა. ამ კომპონენტის სრულყოფილი დაკმაყოფილება აუცილებელია სტანდარტთან შესაბამისობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა სასწავლო და კვლევით დაწესებულებებთან
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რამდენადაც, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, სადოქტორო საფეხურზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია, უფრო მეტად გაიზარდოს უნივერსიტეტის აქტიურობა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარებისთვის, რაც გაზრდის პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის ხარისხსა და დასაქმების პერსპექტივას. მიზანშეწონილია, საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინსტიტუციებთან გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა და/ან პერსონალის გაცვლა, მობილობა, დაიგეგმება ერთობლივი კვლევების, სამეცნიერო პროექტების განხორციელება.

- ასევე, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გაზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და რესურსების დათვალიერება - აუდიტორიები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, შესაბამისი, პროგრამული უზრუნველყოფით, ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდითა და მომსახურებით. ჯგუფის წევრები გაესაუბრენ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საჭირო სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო შრომების კრებულები, წიგნების ელექტრონული და ფიზიკური ვერსიები. ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, ისე კომპიუტერული კლასი აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით. არის ელექტრონული ბიბლიოთეკა სტუდენტებს წვდომა აქვთ სხვადასხვა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ● ელექტრონული კატალოგი - http://lib.king-tamar.net/opac/index.php (ბმული ვებ-გვერდზეა განთავსებული, აქვე შეგიძლიათ იხილოთ ძიების გიდი); ● წიგნების და ჟურნალების გაცემა; ● ელექტრონული ბაზები (ხელმისაწვდომია რამდენიმე ელექტრონული ბაზა, ინფორმაცია განთავსებულია ვებ-ზე); ● ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი (მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობენ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან); გაფორმებულია მემორანდუმები სადოქტორო პროგრამის პროფილურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა კორნელი კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და ხელოვნების მუზეუმი. მემორანდუმები ითვალისწინებს ამ ინსტიტუციებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე წვდომას და მათზე კვლევების წარმოებას. დოქტორანტთა საკვლევ ობიექტთან წვდომის პროცესს აადვილებს ის გარემოება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი იმავდროულად დასაქმებულია აღნიშნულ ორგანიზაციებში. ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სწავლის შედეგების მიღწევისთვის, თუმცა სასურველია სამეცნიერო ბაზებზე წვდომის მიმართულებით სამუშაოს ჩატარება და ახალ ბაზებში ჩართულობის უზრუნველყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება • ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასების, საპრეზენტაციო აქტივობისათვის ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერება • სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მემორანდუმები • ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, პროგრამის განვითარების მიზნით, გაფორმდეს მემორანდუმები სხვა უსდ-ებთან, სადაც ხორციელდება ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამები, რათა დოქტორანტებს სასწავლო-სამეცნიერო აქტივობის არეალი გაუფართოვდეთ. ეს ხელს შეუწყობს სადოქტორო სემინარებში დოქტორანტთა ჩართულობას და ინტეგრაციას შესაბამისი სამეცნიერო პროფილის დოქტორანტებთან და აკადემიურ წრესთან, რაც სწავლების ეფექტურობისა და ხარისხის ზრდის გარანტიაა.
- საჭიროა, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე ხელმისაწვდომის გაფართოვება, რათა სტუდენტებს უახლეს ლიტერატურაზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა შეექმნათ. დღესდღეობით, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისთვის აუცილებელია დოქტორანტებს, პერსონალს ჰქონდეს სრული წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე.
- მიზანშეწონილია, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება დარგში არსებული უახლესი (მათ შორის, მეტწილად - უცხოური) ლიტერატურით. აკადემიური საქმიანობისთვის საბიბლიოთეკო რესურსებს აქვს არსებითი მნიშვნელობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით),

რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კომპეტენცია შესაბამისობაშია პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებთან და ეს დასტურდება როგორც პერსონალის პირად საქმეებში არსებული ინფორმაციით, ასევე ინტერვიუირებით. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორის თუ მოწვეული მასწავლებლის მიერ. ამდენად, პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მონიტორინგის ვიზიტის დროს განხორციელდა პერსონალის პირადი საქმეების შესწავლა, პროგრამაში ჩართულია 13 პირი, აქედან 7 წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ყველას აქვს აკადემიური დოქტორის ხარისხი, თუმცა, მათგან, მხოლოდ სამს აქვს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, გამოცემული ან ელექტრონული სახელმძღვანელოებით და/ან სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებით. თუმცა, პროგრამის მდგრდობისათვის სასურველია მის განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი აკადემიური პერსონალი - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით. როგორც სპეციალურ, ისე სავალდებულო სასწავლო კურსებს უძღვებიან დარგის გამოჩენილი და მაღალკვალიფიციური, მაგრამ უმეტესად მოწვეული პერსონალი, ამ სასწავლო კომპონენტებში ჩართულია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების მხოლოდ ორი პროფესორი (ერთი სპეციალურ კურსებში, ერთი - სავალდებულოში). ამასთან, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებებშიც არ არის დაფიქსირებული უნივერსიტეტთან მათი აფილირების ვალდებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის CV-ები, ნაშრომების და/ან სამეცნიერო პროექტების ჩამონათვალი • უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი) • აკადემიური /სამეცნირო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან • სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: • პროგრამის მდგრდობისათვის სასურველია მის განხორციელებაში ჩართული იყოს შესაბამისი მიმართულების მეტი აკადემიური პერსონალი. • მიზანშეწონილია, უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნას აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რამდენადაც, აფილირების თემის განხილვა არის ძალიან მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. შედგა შეხვედრები ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, IT ტექნოლოგიების სპეციალისტთან. ინტერვიუირების დროს დადასტურდა თანამშრომელთა კომპეტენცია, გამოცდილება და მზაობა პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა სწავლის პროცესის ხელშეწყობისა და ადმინისტრირებისა. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა პირად საქმეში მოცემული იყო პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებებშიც არ არის დაფიქსირებული უნივერსიტეტთან მათი აფილირების ვალდებულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინტერვიუირება
- პერსონალის პირადი საქმეები, სამუშაო ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

- როგორც აღინიშნა, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნას აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რამდენადაც, აფილირების თემის განხილვა არის ძალიან მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მთელ რიგ სალექციო კურსებში გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა უმეტესწილად დარგის აქტუალური მიღწევებს ეფუძნება, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურში წარმოდგენილი ლიტერატურა მოძველებული და ნაკლებად რელევანტურია სადოქტორო საფეხურისთვის: მაგ.: გომბრიხის ხელოვნების ისტორია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერება

- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- როგორც უკვე აღინიშნა, მიზანშეწონილია, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება დარგში არსებული უახლესი (მათ შორის, მეტწილად - უცხოური) ლიტერატურით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილია თანხა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან (სულ22 197 ლარი სამი წლის განმავლობაში), რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტში, ასევე ითვალისწინებს დოქტორანტის სამეცნიერო მივლინების ხარჯებს, სამეცნიერო შრომების გამოცემის, ნაშრომის საერთაშორისო რეცენზირების, დოქტორანტის დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საორგანიზაციო ხარჯების დაფარვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• სადოქტორო პროგრამის განფასება, პროგრამაზე სწავლის ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული რექტორის ბრძანებით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამომდინარე იქიდან ,რომ პროგრამა პირველადაა სააკრედიტაციოდ, ციკლის "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ყველა ეტაპის შეფასების შესაძლებლობა ექსპერტებს არ ჰქონიათ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის დაგეგმვისა და განსახორციელებლად მზადების ეტაპი კარგად გააზრებული და დაგგემილია. როგორც მასალის გაცნობიდან, და განსაკუთრებით ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, პროგრამის შემუშავებას წინ უძღოდა პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მრავალი საკონსულტაციო შეხვედრა. ასევე გამოიკვეთა პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და სწავლის შედეგების განსაზღვრაში (კერძოდ, ჩატარდა შეხვედრა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან, ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებთან. ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტისა და ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წარმომადგენლებთან გასუბრება სკაიპ-ჩართვით განხორციელდა). ვიზიტის მომენტისთვის სტუდენტთა შეფასებების ანალიზი ვერ განხორციელდებოდა, რადგან სტუდენტი პროგრამაზე არ არის. მაგრამ, ნიმუშების სახით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავებული შეფასების კითხვარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან • სტუდენტების მიერ სხვა საგანამანთლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები (ნიმუშები)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ ეტაპზე პროგრამის შიდა შეფასება ვერ მოხდებოდა იმ მიზეზის გამო, რომ პროგრამა პირველადაა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი.
ამავდროულად, პროგრამის თვითშეფასებაში წინამდებარე სტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ წარმოდგენილია რამდენიმე ზოგადი ინფორმაცია შიდა და გარე შეფასებებთან დაკავშირებით. თუმცა, ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ შიდა შეფასების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილია სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების კითხვარის შემუშავება უნივერსიტეტში არსებული სხვა მიმართულებების კითხვარების ანალოგიით.
ამასთან, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე პირთა ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცებულია რექტორის შესაბამისი ბრძანებით, შემოიფარგლება მხოლოდ ორი ადამიანით (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების კონსულტანტი), რაც არ ითვალისწინებს პროგრამაში ჩართული ყველა სუბიექტის მონაწილეობას ამ პროცესში.
ვფიქრობთ, მიზანშეწონილია შიდა და გარე შეფასების მექანიზმებისა და ამ მექანიზმების სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტიანი გამოყენების შესახებ უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლების მეტი ინფორმირებულობა და გადამზადება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, ადმინიტრაციული პერსონალის მეტი ინფორმირება, შიდა და გარე შეფასების მექანიზმებისა და მათი მოქმედების ეფექტიანობის შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა